უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 21 0001430367

28/12/2021

ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის შასახებ

დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, და 103-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტს (ს/კ 215149248) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი - საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.
2. ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3.საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის № 1430337 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4.გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია: 2021 წლის 14 დეკემბერს.
5.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი,

მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

დანართი

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[12]
1	ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ფილოსოფიის მაგისტრი 0223	120	ავტორიზებული	14.12.2015 წ., №42
2	ქრისტიანული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ფსიქოლოგიის მაგისტრი 0313	120	ავტორიზებული	25.01.2017 წ., №03
3	ქრისტიანული ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ფილოსოფიის დოქტორი 0223	60	ავტორიზებული	14.12.2015 წ., №42